ტესტი ისტორიაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისათვის №1-24

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რომელი რიტუალური სცენაა ასახული ილუსტრაციაზე?

ა) ოსირისის სამსჯავრო;

ბ) ფარაონად კურთხევა;

გ) ატონის თაყვანისცემა;

დ) სეთისადმი მსხვერპლშეწირვა.

2. რომელი მსჯელობაა მართებული ილუსტრაციაზე ასახული არტეფაქტის შესახებ?

ა) ძვ. წ. II-I საუკუნეების რომაული სესტერციების აღმოჩენა იბერიის სამეფოს ტერიტორიაზე საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაზე მეტყველებს;
ბ) ალექსანდრე მაკედონელის სტატერების მოჭრა სელევკიდების სამეფოში ძვ. წ. IV საუკუნეში იმპერიის მემკვიდრეობითობის საბუთი იყო;
გ) კოლხური თეთრის არსებობა უმნიშვნელოვანესი არგუმენტია დასავლეთ საქართველოში ძვ. წ. VI საუკუნიდან სამეფოს არსებობის დასამტკიცებლად;
დ) ძვ. წ. V საუკუნეში ბოსფორის სამეფოში მოიჭრა უძველესი მონეტა, რომელიც სწრაფად გავრცელდა ბერძნულ ახალშენებში.

3. რით აღინიშნა პერიკლეს მმართველობის ხანა?

ა) მოიწვიეს პირველი სახალხო კრება;

ბ) შეიქმნა პირველი წერილობითი კანონები;

გ) აღდგა „კორინთოს საზღვაო კავშირი“;

დ) დაიწყო პელოპონესის ომი.

4. ვინ იყვნენ პერიეკები ძველ საბერძნეთში?

ა) ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულები, რომლებსაც ტრიუმფით ხვდებოდნენ;

ბ) მისნები, რომლებიც წარმართულ ღვთისმსახურებას აღასრულებდნენ;

გ) მსაჯულები, რომლებსაც საბოლოო განაჩენი გამოჰქონდათ;

დ) თავისუფალი მოსახლეობა, რომელსაც არ გააჩნდა პოლიტიკური უფლებები.

5. რომელმა რომაელმა იმპერატორმა დაწერა ფილოსოფიური ნაშრომი „ფიქრები“?

ა) ოქტავიუს ავგუსტუსმა;

ბ) ტრაიანემ;

გ) ვესპასიანემ;

დ) მარკუს ავრელიუსმა.

6. რომელ ისტორიულ მოვლენას უკავშირდება ცნობილი გამონათქვამი „ამით სძლიე!“?

ა) იულიუს კეისრის მიერ ბოსფორის სამეფოს დამარცხებას;

ბ) პომპეუსის გამარჯვებას მითრიდატესთან ბრძოლაში;

გ) ტიტუსის მიერ იერუსალიმის აღებას;

დ) კონსტანტინე დიდის ბრძოლას მაქსენციუსის წინააღმდეგ.

7. არსებობს მოსაზრება, რომ იუსტინიანე დიდმა გარკვეულწილად აღადგინა რომის იმპერია. რა ფაქტი შეიძლება მივიჩნიოთ ამის დამადასტურებლად?

ა) განდევნა მავრები პირენეის ნახევარკუნძულიდან;

ბ) ვიკინგებისგან გაათავისუფლა ეგეოსის ზღვის კუნძულები;

გ) დაიპყრო აპენინის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი;

დ) დაამარცხა და მცირე აზიიდან განდევნა პართელები.

8. რომელია მართებული მსჯელობა ბაგრატ III-ის შესახებ?

ა) პირველი ბაგრატიონი იყო, რომელიც კათოლიკოსმა აკურთხა და უბოძა ტიტული - მეფე აფხაზთა, კურაპალატი ქართველთა, მფლობელი ყოვლისა ჰერეთისა;

ბ) პირველმა შეძლო ერთ სამეფოდ გაეერთიანებინა აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველო და იწოდებოდა - მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა;

გ) ქართველ მეფეთაგან პირველმა უარყო ყოველგვარი ბიზანტიური ტიტული და იწოდებოდა - მეფე ყოვლისა საქართველოისა, მფლობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთისა;

დ) პირველმა დაიქვემდებარა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთავრები და მეფედ კურთხევის შემდეგ მიიღო ტიტული - მეფე ქართველთა, აფხაზთა, მესხთა და ჰერთა.

9. რა მოჰყვა შედეგად 1071 წლის მანაზკერტის ბრძოლას?

ა) ბიზანტიას აღარ შეეძლო სელჩუკთა შეჩერება და თითქმის სრულად დაკარგა სამფლობელოები მცირე აზიაში;

ბ) იმავე წლის ბოლოს სელჩუკებმა შეძლეს ჩრდილო-დასავლეთ ირანისა და მაზანდარანის ხელში ჩაგდება;

გ) ბიზანტიელთა დამარცხების შემდეგ სელჩუკები მალევე პირველად შემოიჭრნენ სამხრეთ საქართველოში;

დ) ბრძოლის მეორე წელსვე სელჩუკებმა დაიპყრეს სომხეთის სამეფო და საქართველოს მეფეს ხარკის გადახდა აიძულეს.

10. სხვა მიზეზებთან ერთად როგორ განაპირობებდა გზები ქალაქების დაარსებისთვის ადგილის შერჩევას შუა საუკუნეებში?

ა) ქალაქის მანუფაქტურებისთვის აუცილებელი იყო მდინარის წყალი, ხოლო იმდროინდელი გზები მხოლოდ მდინარის კალაპოტებს მიჰყვებოდა;

ბ) ქალაქების ეკონომიკური ცხოვრება და კეთილდღეობა ვაჭრობა-ხელოსნობაზე იყო დამოკიდებული, ხოლო გზები - ვაჭრობისათვის აუცილებელი;

გ) გზები რომის პაპის მფარველობაში იყო და მათ გასწვრივ დაარსებული ქალაქებიც ავტომატურად პაპის დაცვის ქვეშ ექცეოდნენ;

დ) ქალაქები მხოლოდ მეფის კუთვნილ მიწებზე არსდებოდა და გზებიც სახელმწიფოში მხოლოდ მეფეს ეკუთვნოდა.

11. სხვა მიზეზებთან ერთად რა განაპირობებდა XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს სამეფოს მცდელობას, დაეკავებინა ანისი და დვინი?

ა) დაებრუნებინა ქართლის ძველი სამეფოს კუთვნილი ტერიტორია და დაეცვა იქ მცხოვრები ქრისტიანები;

ბ) გაეკონტროლებინა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები და კიდევ უფრო სამხრეთით განედევნა მოწინააღმდეგე;

გ) გაევრცელებინა ქალკედონური მრწამსი დასავლეთ შარვანში და დაეცვა სამეფოს აღმოსავლეთ საზღვარი;

დ) აღედგინა მეზობელი ქრისტიანული სამეფო და შემდეგ მოკავშირედ გაეხადა მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

12. რით იყო მნიშვნელოვანი VI ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელსაც საღვთო რომის იმპერატორი ფრიდრიხ II მეთაურობდა?

ა) ჯვაროსნებმა დაიკავეს ბაღდადი;

ბ) სელჩუკებმა დათმეს ანტიოქია;

გ) მუსლიმებმა დაკარგეს დამასკო;

დ) ქრისტიანებმა დაიბრუნეს იერუსალიმი.

13. რომელი მსჯელობაა მართებული შუა საუკუნეებში ევროპაში არსებული უნივერსიტეტების შესახებ?

ა) თვითმმართველი კორპორაციები იყვნენ;

ბ) სწავლება მიმდინარეობდა მხოლოდ ბერძნულ ენაზე;

გ) პროფესურა მხოლოდ საერო პირთაგან შედგებოდა;

დ) უშუალოდ კარდინალთა კონკლავს ექვემდებარებოდა.

14. სხვა მიზეზებთან ერთად რით აიხსნება ფლორენციის გადაქცევა აღორძინების ცენტრად?

ა) გარკვეული დროით ქალაქი გადაიქცა რომის პაპის რეზიდენციად, რასაც დიდი აღმშენებლობა მოჰყვა;

ბ) წარმატებული სამხედრო ლაშქრობების შედეგად ქალაქში დიდი რაოდენობით კულტურის ძეგლებმა მოიყარა თავი;

გ) ქალაქში დაარსდა ევროპაში ყველაზე ძველი გიმნაზია, სადაც გამოჩენილი სწავლულები მოღვაწეობდნენ;

დ) ვაჭრობის განვითარების შედეგად ქალაქის გამდიდრებული წარჩინებულები მფარველობდნენ ხელოვანთა ჯგუფს.

15. რით გამოირჩეოდა ინკების სახელმწიფო კოლუმბამდელ ამერიკაში?

ა) სახელმწიფოს ტერიტორიაზე გაყვანილი იყო საუკეთესო საგზაო სისტემა;

ბ) სახელმწიფოს კანცელარია ანბანური დამწერლობით სარგებლობდა;

გ) სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებას ცხენოსანი არმია განსაზღვრავდა;

დ) სახელმწიფოს მოსახლეობაში მონოთეისტური რელიგია იყო გავრცელებული.

16. რა იყო გაერთიანებული საქართველოს მეფის - ალექსანდრე I-ის მეფობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი?

ა) თემურ ლენგის ლაშქრობების შემდეგ დარბეული ქვეყნის აღდგენა;

ბ) რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულების საბოლოოდ გაფორმება;

გ) ყიზილბაშური ირანის სამხედრო ბეგარისაგან გათავისუფლება;

დ) მონღოლთა ასწლოვანი ბატონობის დასრულება.

17. რამ გამოიწვია საღვთო რომის იმპერიაში დაპირისპირებული კათოლიკე და პროტესტანტი გერმანელი თავადების დროებითი დაზავება XVI საუკუნის 30-იან წლებში?

ა) ოსმალების მიერ ქალაქ ვენის დაპყრობის მცდელობამ;

ბ) რომის პაპის მოწოდებამ, მოეწვიათ მსოფლიო საეკლესიო კრება;

გ) ფრანგების მიერ რაინისპირა მიწების დაუფლების სურვილმა;

დ) იმპერატორის განზრახვამ, გაეუქმებინა წოდებრივი დაყოფა.

18. სხვა მიზეზებთან ერთად რამ გაუადვილა ოსმალებს მესხეთის უდიდესი ნაწილის დაპყრობა XVI საუკუნის ბოლოს?

ა) იმერეთის მეფეთა მოკავშირეობამ;

ბ) ქართლ-კახეთის სამეფოს დასუსტებამ;

გ) დასავლეთ საქართველოში ლეკიანობის დაწყებამ;

დ) სამცხე-საათაბაგოს მმართველთა პოლიტიკამ.

19. რის მიმანიშნებლად შეიძლება მივიჩნიოთ XVII საუკუნეში მარიამ დედოფლის ბრძანებით „ქართლის ცხოვრების“ გადაწერა?

ა) ახალი სალიტერატურო ენობრივი ნორმების დაფუძნების;

ბ) გელათისა და იყალთოს აკადემიების აღორძინების;

გ) ირანის სახელმწიფოს გავლენის მკვეთრად შემცირების;

დ) განათლებისა და კულტურისადმი ინტერესის გაღვივების.

20. რომელი მსჯელობაა მართებული „გეორგიევსკის ტრაქტატის“ პირობების შესახებ?

ა) ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და მის ტერიტორიაზე სამეფისნაცვლო არსდებოდა;

ბ) ქართლ-კახეთის სამეფოში ფორმალურად ნარჩუნდებოდა სამეფო ხელისუფლება, თუმცა ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის წარმართვა რუსეთს გადაეცემოდა;

გ) ქართლ-კახეთის სამეფოს ეზღუდებოდა საგარეო პოლიტიკის წარმოება, მაგრამ სრულად ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას საშინაო პოლიტიკაში;

დ) ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მოხარკეობას კისრულობდა და რუსეთის ჯარს უთმობდა ქვეყნის ყველა მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეს.

21. რა შედეგით დასრულდა აბუკირის საზღვაო ბრძოლა?

ა) ფრანგებმა გაიმარჯვეს ესპანურ ფლოტზე;

ბ) ბრიტანულმა ფლოტმა გაანადგურა ფრანგული ესკადრა;

გ) პორტუგალიელთა ფლოტმა დაამარცხა ოსმალები;

დ) ინგლისელებმა ჩაძირეს ჰოლანდიური ფლოტი.

22. რით იყო განპირობებული, კულაკობის ანტისაბჭოთა განწყობა?

ა) კულაკობა წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მოხელეთა ფენას, რომელსაც ახალი ხელისუფლება სამსახურიდან ათავისუფლებდა;

ბ) კულაკობა იყო ღარიბი გლეხების ჯგუფი, რომელსაც ბოლშევიკებმა დაპირებული მიწები კერძო საკუთრებაში არ გადასცეს;

გ) კულაკობა წარმოადგენდა წვრილ მეწარმეთა იმ ჯგუფს, რომელთა საწარმოების ნაციონალიზაცია მოახდინა ხელისუფლებამ;

დ) კულაკობა იყო მიწის მესაკუთრე მდიდარი გლეხობა, რომელსაც ხელისუფლება კოლექტივიზაციის პროცესში საკუთრებას ართმევდა.

23. რა პირობას *<u>არ გულისხმობდა</u>* ცივი ომის პერიოდში 1975 წელს ქალაქ ჰელსინკიში ხელმოწერილი აქტი?

ა) სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობას;

ბ) სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების თანდათანობით დაშლას;

გ) საერთაშორისო სადავო საკითხების მშვიდობიანად გადაწყვეტას;

დ) ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემას.

24. რა მოიმოქმედეს დასავლეთის უმეტესმა სახელმწიფოებმა აშშ-ს ხელმძღვანელობით სსრკ-ის წინააღმდეგ მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარები ავღანეთში შეიჭრნენ?

ა) შეუჩერეს გაეროს წევრობა;

ბ) მოუწყვეს ეკონომიკური ბლოკადა;

გ) შეწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა;

დ) ბოიკოტი გამოუცხადეს მოსკოვის ოლიმპიადას.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 25-28

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

25. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოები მათი წარმოქმნის დროის მიხედვით:

1. აქემენიანთა სამეფო;
2. ხეთების სამეფო;
3. ურარტუს სამეფო.

26. ქრონოლოგიურად დაალაგეთ არაბთა დაპყრობით ომებთან დაკავშირებული მოვლენები:

1. პუატიეს ბრძოლა;
2. ვესტგოთების სამეფოს დაპყრობა;
3. სასანიანთა სახელმწიფოს განადგურება.

27. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XVIII საუკუნეში რუსეთის იმპერიის ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები:

1. პოლტავის ბრძოლა;
2. ყირიმის სახანოს დაპყრობა;
3. რეჩ-პოსპოლიტას მესამე დანაწილება.

28. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XIX საუკუნეში ევროპაში განვითარებული მოვლენები:

1. გერმანიის იმპერიის გამოცხადება;
2. იტალიის გაერთიანებული სამეფოს გამოცხადება;
3. საფრანგეთის პირველი იმპერიის შექმნა.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 29

მოსწავლეს აქვს რუკა. მას საკუთარი ცოდნისა და რუკაზე არსებული ინფორმაციის გამოყენებით, უნდა ეპასუხა დასმული კითხვებისათვის.

მოსწავლის მიერ გაცემული პასუხებიდან ორი (2) არასწორია.

თქვენ უნდა იპოვოთ ორივე შეცდომა, გადმოწეროთ პასუხების ფურცლის სათანადო ადგილზე და იქვე მიუწეროთ სწორი პასუხი. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.



კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე.

მოსწავლისათვის დასმული კითხვები:	მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები:
29.1. დაასახელეთ კონკრეტული ისტორიული პიროვნება, რომლის ლაშქრობებიცაა ასახული რუკაზე.	**29.1.** ჩინგიზ ყაენი.
29.2. რუკის მიხედვით, რომელი უცხო სახელმწიფოს დედაქალაქი *<u>არ დაულაშქრავს</u>* პიროვნებას, რომლის დაპყრობებიცაა ასახული რუკაზე?	**29.2.** ბიზანტიის.
29.3. დაასახელეთ რუკაზე აღნიშნულ სახელმწიფოში ყველაზე აღმოსავლეთით მდებარე ქალაქი.	**29.3.** დელი.
29.4. რუკის მიხედვით, დაასახელეთ სამი ქალაქი, სადაც გაიმართა აჯანყებები.	**29.4.** ჰერათი, ისპაჰანი, ბაღდადი.
29.5. რომელი სახელმწიფო დამარცხდა ანგორის ბრძოლაში და რუკის მიხედვით, რატომ იყო ეს ბრძოლა გამარჯვებული მხარისათვის მნიშვნელოვანი?	**29.5.** ოსმალეთი. ოსმალებმა ვეღარ აიღეს კონსტანტინოპოლი.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 30

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. გაითვალისწინეთ, რომ სამივე ილუსტრაციაზე ასახულია ერთი ისტორიული პროცესის სამი ეპიზოდი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 7.

ილუსტრაციები და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.

დავალება 30

N1

N2 

N3

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე.

კითხვები:

(2) **30.1** რომელი ილუსტრაცია (დაწერეთ ნომერი) ასახავს იმ ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, რომელმაც განაპირობა ილუსტრაციებზე ასახული ისტორიული პროცესი და, ილუსტრაციის მიხედვით, რა იყო ეს მიზეზი?

(2) **30.2** რომელი ილუსტრაცია (დაწერეთ ნომერი) ასახავს ისტორიული პროცესის წამოწყების საბაბს? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით.

(2) **30.3** რომელი ილუსტრაცია (დაწერეთ ნომერი) ასახავს, წარმოდგენილი ეპიზოდებიდან, ყველაზე გვიანდელ ეტაპს და რა არის ამ ილუსტრაციის მთავარი იდეა?

(1) **30.4** დაასახელეთ ერთი კონკრეტული საგაკვეთილო თემის სათაური, რომლის დროსაც გამოიყენებდით სამივე ილუსტრაციას.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 31

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 19.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.

ამონარიდები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რსფსრ-ს შორის დადებული ხელშეკრულებიდან

მუხლი I.

გამოდის რა რსფსრ-ს მიერ გამოცხადებული პრინციპი-დან - ყველა ერის თვითგამორკვევის შესახებ, თვით სრულ გამოყოფამდეც კი, რუსეთი უპირობოდ აღიარებს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას.

მუხლი II.

ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში გამოცხადებული პრინციპების თანახმად, რუსეთი აცხადებს, რომ არ ჩაერევა საქართველოს საშინაო საქმეებში.

მუხლი III.

1. სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და რუსეთს შორის გადის: შავი ზღვიდან მდინარე ფსოუზე ახახჩას მთამდე, შემდეგ აგაპეტის მთამდე და იქიდან შავი ზღვის, ქუთაისისა და თბილისის ყოფილი გუბერნიების ჩრდილოეთ საზღვარზე ზაქათალის ოკრუგამდე და ამ ოკრუგის აღმოსავლეთ საზღვარზე სომხეთამდე.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11

2. აღნიშნულ სასაზღვრო ზოლზე არსებული ყველა უღელტეხილი 1922 წლის 1 იანვრამდე ცხადდება ნეიტრალურად. ისინი არც ერთმა მხარემ არ უნდა დაიკავოს და გაამაგროს.

მუხლი IV.

1. რუსეთი უპირობოდ ცნობს საქართველოს შემადგენ-ლობაში შავი ზღვის გუბერნიის იმ ტერიტორიას, რომელიც III მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად გადაეცემა საქართველოს და ასევე რუსეთის იმპერიის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებს, ბათუმის ოლქს, ასევე ზაქათალისა და სოხუმის ოკრუგებს.

მუხლი V.

აღიარებს რა სამართლიანად რუსეთის მოთხოვნას, არ დაუშვას საქართველოს ტერიტორიაზე ქმედებები, რომ-ლებსაც შეუძლიათ საქართველოში შექმნან ვითარება, რომელიც დაემუქრება რუსეთის დამოუკიდებლობას და შეუძლიათ საქართველო აქციონ რსფსრ-ს ან მისი მოკავშირე სახელმწიფოების წინააღმდეგ ბაზად, საქართველო ვალდებულებას იღებს:

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე.

1. დაუყოვნებლივ განაიარაღოს და საკონცენტრაციო ბანაკებში გადაიყვანოს: ხელშეკრულების ხელმოწერის დროისთვის საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ან შემდგომში მის ტერიტორიაზე გადასული სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ნაწილები, რაზმები და ჯგუფები, რომლებსაც პრეტენზია აქვთ იყვნენ რუსეთის ან მისი რომელიმე ნაწილის მთავრობა და ასევე რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოების მთავრობა; ასევე წარმომადგენლები და თანამდებობრივი პირები, ორგანიზაციები და ჯგუფები, რომელთა მიზანიცაა რუსეთის ან მისი მოკავშირე სახელმწიფოების მთავრობების დამხობა.

2. დაუყოვნებლივ განაიარაღოს საქართველოს ნავსადგურებში მყოფი გემები, რომლებიც იმ სამხედრო-საზღვაო ძალების, ორგანიზაციების ან ჯგუფების შემადგენლობაში შედიან, რომლებიც მოხსენიებული არიან 1-ლ პუნქტში.

4. განიარაღების შემდეგ რუსეთს გადასცეს სამხედრო ნაწილები, ორგანიზაციები, ჯგუფები და გემების ეკიპაჟები, რომლებიც მოხსენიებული არიან 1-ლ პუნქტში. შენიშვნა: რუსეთი პირობას დებს სიცოცხლე შეუნარჩუნოს ყველა იმ პირს, რომლებიც ამ მუხლის თანახმად გადაეცემა.

5. გააძევოს საქართველოს იმ ტერიტორიიდან, რომელიც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულების IV მუხლით, ჯარის ყველა სახეობა და სამხედრო რაზმები, რომლებიც არ შედიან საქართველოს სამთავრობო ჯარის შემადგენლობაში.

6. მიიღოს ზომები, რათა მომავალში საქართველოს ტერიტორიაზე არ იმყოფებოდნენ ჯარები და სამხედრო რაზმები, რომლებიც ჩამოთვლილი არიან ამ მუხლის მე-5 პუნქტში.

7. აუკრძალოს იმ სამხედრო ნაწილების, ორგანიზაციებისა და ჯგუფების წევრებს, რომლებიც დასახელებული არიან ამ მუხლის 1-ლ და მე-5 პუნქტებში რაიმე სახით, მათ შორის მოხალისედ, იმსახურონ საქართველოს სამთავრობო ჯარში, რადგან ისინი არ არიან ეროვნებით ქართველები.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე.

მუხლი VI.

რუსეთი ვალდებულებას იღებს, არ დაუშვას თავის ტერიტორიაზე ისეთი ჯგუფებისა და ორგანიზაციების არსებობა და საქმიანობა, რომლებსაც პრეტენზია აქვთ შეასრულონ საქართველოს მთავრობის როლი. ასევე იმ ჯგუფებისა და ორგანიზაციებისა, რომელთა მიზანიც არის საქართველოს მთავრობის დამხობა. რუსეთი ვალდებულებას იღებს, თავისი გავლენა გამოიყენოს მოკავშირე სახელმწიფოებზე, რათა არ დაუშვას მათ ტერიტორიაზე ამ მუხლში აღნიშნული ჯგუფებისა და ორგანიზაციების ყოფნა.

მუხლი X.

საქართველოს ხელისუფლება ვალდებულებას იღებს, სასჯელისა და შემდგომი დევნისგან გაათავისუფლოს პირები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ამგვარ დევნას განიცდიდნენ რსფსრ-ს ან კომუნისტური პარტიის სასარგებლოდ საქმიანობის გამო. შენიშვნა: საქართველო ვალდებულებას იღებს, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს პატიმრობიდან პირები, რომლებიც

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11

დასჯილი არიან ზემოთ აღნიშნული ქმედების გამო.

მუხლი XV.

ორივე ხელმომწერი მხარის მოქალაქეთა შორის წარმოქმნილ საზოგადოებრივ-სამართლებრივ და კერძო-სამართლებრივ საკითხებს, ასევე ორივე სახელმწიფოს შორის არსებულ ცალკეულ საკითხებს მოაგვარებენ საგანგებო შერეული კომისიები ... ამავე კომისიების გამგებლობაში იქნება:

1. სავაჭრო ხელშეკრულებისა და სხვა სახის ეკონომიკური ხასიათის შეთანხმებების შედგენა.

3. ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის იმ ნაწილის, რომელიც ამ ხელშეკრულების IV მუხლის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე იქნება, გამოყენების, ფლობისა და განკარგვის საკითხის გადაწყვეტა.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.

ტექსტი აღებული ვებგვერდიდან - http://georoute.ge/Russian-Georgian_agreement

კითხვები:

(1) **31.1.** რომელ წელს დაიდო ეს ხელშეკრულება?

(1) **31.2.** ხელშეკრულების მიხედვით, რა პრინციპის საფუძველზე აღიარებდა რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას?

(1) **31.3.** ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთის იმპერიის რომელი ადმინისტრაციული ერთეულის გაყოფა მოხდა ხელმომწერ სახელმწიფოთა შორის?

(1) **31.4.** წყვეტდა თუ არა ეს ხელშეკრულება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ყველა საკითხს? აუცილებლად მოიყვანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) **31.5.** რას აღიარებდა რუსეთი ხელშეკრულების II მუხლით? ტექსტიდან მოიყვანეთ ერთი პუნქტის შინაარსი, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ ამ მუხლის საწინააღმდეგოდ.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) **31.6.** დაასახელეთ რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც მოცემული დოკუმენტის თანახმად, რუსეთმა საქართველოს შემადგენლობაში ცნო, მაგრამ რამდენიმე წელიწადში ეს ადმინისტრაციული ერთეული სრულად გადაეცა სხვა სახელმწიფოს. ახსენით, თუ რა ახალმა პოლიტიკურმა ვითარებამ გამოიწვია ეს.

(2) **31.7.** ხელშეკრულების მიხედვით, რა სტატუსი ენიჭებოდა უღელტეხილებს და თქვენი აზრით, რომელი მხარის ინტერესებში უფრო შედიოდა შესაბამის მუხლში აღნიშნული პირობები? აუცილებლად მოიყვანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) **31.8.** დაასახელეთ ხელშეკრულების V მუხლის ერთი პუნქტი, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა საქართველოს თავდაცვისუნარიანობაზე. აუცილებლად მოიყვანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) **31.9.** მოცემული დოკუმენტის მიხედვით, ვის აპატიმრებდა ან დევნიდა საქართველოს ხელისუფლება ხელშეკრულების დადებამდე და რატომ მოქმედებდა ასე?

(2) **31.10.** თქვენი აზრით, რატომ შეიტანეს ხელშეკრულებაში აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის საკითხი? აუცილებლად მოიყვანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(3) **31.11.** დაასახელეთ სამი კონკრეტული პირობა, რომელთაგან ერთიც კი საკმარისი იქნებოდა, რომ პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ ამოქმედებულიყო V მუხლით გათვალისწინებული პირობები.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

ინსტრუქცია დავალებისათვის №32

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი დავალება და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. ყველა კითხვას გაეცით სრული და ამომწურავი პასუხი. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება 32 სადისკუსიო თემის განსაზღვრა.

(1) **32.1.** რომელი კონკრეტული თემის განხილვისას გამოიყენებდით № 31 დავალებაში მოცემულ ისტორიულ დოკუმენტს?

(1) **32.2.** გაკვეთილზე განსახილველი თემის უმთავრესი საკითხის გათვალისწინებით, ჩამოაყალიბეთ სადისკუსიო თემის სათაური.

(2) **32.3.** ჩამოაყალიბეთ ორი ალტერნატიული პოზიცია, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას დისკუსიისას.